

**ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი**

**ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2024**

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	8
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	8
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა	9
4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	13
5 ძირითადი საშუალებები	14
6 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	14
7 გრძელვადიანი ინვესტიციები	15
8 მისაღები გრანტები	15
9 ფული და ფულის ეკვივალენტები	16
10 გადავადებული საგრანტო შემოსავალი	16
11 შემოსავალი გრანტებიდან	18
12 სხვა საოპერაციო შემოსავალი	20
13 ხელფასები	20
14 სხვა საოპერაციო ხარჯები	21
15 ანარიცხები	21
16 ფინანსური ინსტრუმენტები	21
17 ფინანსური რისკის მართვა	21
18 გაუთვალისწინებელი გარემოებები	23
19 დაკავშირებული მხარეები	23
20 საქმიანობის უწყვეტობა	23
21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 10 მარტს:

გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ა(ა)იპ ინფორმაციის
თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტი (IDFI)

ნუცა ვეფხვაძე

ფინანსური მენეჯერი

ა(ა)იპ ინფორმაციის
თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტი (IDFI)

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:


- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 10 მარტს:


გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ა(ა)იპ ინფორმაციის
თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტი (IDFI)


ნუცა ვეფხვაძე

ფინანსური მენეჯერი

ა(ა)იპ ინფორმაციის
თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტი (IDFI)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს****მთაწმინდის რაიონი, ტ. შევჩენკოს ქუჩა 20****მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (შემდგომში „ორგანიზაცია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე, სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შესაბამეა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია პირობები, რომლებიც მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ორგანიზაციის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

ას-ების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდებულებს ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

სოფო აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი:

აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი:

SARAS-F-320544

SARAS-A-417263

თბილისი, საქართველო

10 მარტი, 2025



ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
აქტივის გამოყენების უფლება	6	82,654	212,521
არამატერიალური აქტივები		180	-
ძირითადი საშუალებები	5	67,776	77,682
გრძელვადიანი ინვესტიცია	7	-	532,501
სულ გრძელვადიანი აქტივები		150,610	822,704
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
სხვა აქტივები		-	1,035
მისაღები გრანტები	8	2,255,843	3,631,599
გადახდილი ავანსები		1,630	250
საგადასახადო აქტივი		2,569	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,367,672	1,482,399
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,627,715	5,115,284
სულ აქტივები		3,778,324	5,937,988
კაპიტალი			
წმინდა აქტივები		761,245	1,041,912
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		6,419	6,419
სულ კაპიტალი		767,664	1,048,331
ვალდებულებები			
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გადავადებული საგრანტო შემოსავალი	10	2,891,339	4,655,505
საიჯარო ვალდებულება	6	33,500	140,258
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,924,839	4,795,763
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
ანარიცხები	15	25,000	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	5,950
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	6	57,182	80,776
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		3,640	7,168
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		85,821	93,894
სულ ვალდებულებები		3,010,660	4,889,657
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,778,324	5,937,987

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 10 მარტს:

გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ა(ა)იპ ინფორმაციის
 თავისუფლების განვითარების
 ინსტიტუტი (IDFI)

ნუცა ვეფხვაძე

ფინანსური მენეჯერი

ა(ა)იპ ინფორმაციის
 თავისუფლების განვითარების
 ინსტიტუტი (IDFI)

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში


	შენიშვნა	31-დეკ-24	31-დეკ-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	6	82,654	212,521
არამატერიალური აქტივები		180	-
ძირითადი საშუალებები	5	67,776	77,682
გრძელვადიანი ინვესტიცია	7	-	532,501
სულ გრძელვადიანი აქტივები		150,610	822,704
მოკლევადიანი აქტივები			
სხვა აქტივები		-	1,035
მისაღები გრანტები	8	2,255,843	3,631,599
გადახდილი ავანსები		1,630	250
საგადასახადო აქტივი		2,569	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,367,672	1,482,399
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,627,715	5,115,284
სულ აქტივები		3,778,324	5,937,988
კაპიტალი			
წმინდა აქტივები		761,245	1,041,912
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		6,419	6,419
სულ კაპიტალი		767,664	1,048,331
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული საგრანტო შემოსავალი	10	2,891,339	4,655,505
საიჯარო ვალდებულება	6	33,500	140,258
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,924,839	4,795,763
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ანარიცხები	15	25,000	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	5,950
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	6	57,182	80,776
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		3,640	7,168
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		85,821	93,894
სულ ვალდებულებები		3,010,660	4,889,657
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,778,324	5,937,987

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 10 მარტს:


გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ა(ა)იპ ინფორმაციის
თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტი (IDFI)


ნუცა ვაფხვაძე

ფინანსური მენეჯერი

ა(ა)იპ ინფორმაციის
თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტი (IDFI)

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი გრანტებიდან	11	1,883,124	1,882,894
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12	268,585	239,832
ხელფასები	13	(712,529)	(391,226)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(1,653,543)	(1,741,418)
ცვეთა და ამორტიზაცია	5; 6	(92,002)	(72,374)
საპროცენტო ხარჯი		(12,433)	(7,929)
ანარიცხები	7, 15	(19,621)	(5,379)
საოპერაციო შედეგი		(338,420)	(95,600)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		51,030	15,414
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(1,074)	(19,995)
არასაოპერაციო შედეგი		49,956	(4,581)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		7,797	3,299
წმინდა ნამატი/(დეფიციტი) გადასახადამდე		(280,667)	(96,883)
სულ წლის სრული ნამატი/(დეფიციტი)		(280,667)	(96,883)

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 10 მარტს:

გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ა(ა)იპ ინფორმაციის
 თავისუფლების განვითარების
 ინსტიტუტი (IDFI)

ნუცა ვეფხვაძე

ფინანსური მენეჯერი

ა(ა)იპ ინფორმაციის
 თავისუფლების განვითარების
 ინსტიტუტი (IDFI)

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი გრანტებიდან	11	1,883,124	1,882,894
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12	268,585	239,832
ხელფასები	13	(712,529)	(391,226)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(1,653,543)	(1,741,418)
ცვეთა და ამორტიზაცია	5; 6	(92,002)	(72,374)
საპროცენტო ხარჯი		(12,433)	(7,929)
ანარიცხები	7, 15	(19,621)	(5,379)
საოპერაციო შედეგი		(338,420)	(95,600)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		51,030	15,414
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(1,074)	(19,995)
არასაოპერაციო შედეგი		49,956	(4,581)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		7,797	3,299
წმინდა ნამატი/(დეფიციტი) გადასახადამდე		(280,667)	(96,883)
სულ წლის სრული ნამატი/(დეფიციტი)		(280,667)	(96,883)


ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 10 მარტს:



გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ა(ა)იპ ინფორმაციის
 თავისუფლების განვითარების
 ინსტიტუტი (IDFI)



ნუცა გვიშვიანი

ფინანსური მენეჯერი

ა(ა)იპ ინფორმაციის
 თავისუფლების განვითარების
 ინსტიტუტი (IDFI)

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
პერიოდის შედეგი:	(280,667)	(96,883)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	24,678	26,534
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(217)	9,333
საპროცენტო ხარჯი	12,433	7,929
აქტივის გამოყენების უფლება	67,234	45,842
მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	7,797	(3,299)
საკანონმდებლო რეზერვები	25,000	-
საოპერაციო ფულადი სახსრები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	(143,743)	(10,544)
შემცირება/(ზრდა) გადახდილ ავანსებში	(1,380)	8,532
შემცირება/(ზრდა) მისაღებ გრანტებში	1,375,757	(2,993,354)
შემცირება/(ზრდა) წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(2,569)	16,268
(შემცირება)/ზრდა სხვა აქტივებში	14,279	18,546
(შემცირება)/ზრდა გადავადებულ საგრანტო შემოსავალში	(1,764,166)	3,429,935
(შემცირება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(1,995)	(1,908)
(შემცირება)/ზრდა საგადასახადო ვალდებულებებში	(5,950)	-
(შემცირება)/ზრდა რეზერვებში	25,000	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(504,767)	467,475
ფულადი სახსრებისაინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(14,990)	(51,390)
საპროცენტო შემოსავალი	23,294	-
არასაოპერაციო შემოსავალი	14,817	-
გრძელვადიანი ინვესტიციების შესყიდვა	512,880	(520,301)
აქტივის გამოყენების უფლების დამატება	-	(246,798)
წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობაში	536,001	(818,489)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულების გადახდა	(127,369)	205,873
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(127,369)	205,873
ზრდა/(კლება) ფული და ფულის ეკვივალენტებში	(96,135)	(145,141)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,482,399	1,632,193
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(18,584)	(4,653)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,367,681	1,482,399

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 10 მარტს:

გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების
 განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ნუცა ვეფხვაძე

ფინანსური მენეჯერი

ა(ა)იპ ინფორმაციის
 თავისუფლების განვითარების
 ინსტიტუტი (IDFI)

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
პერიოდის შედეგი:	(280,667)	(96,883)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	24,678	26,534
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(217)	9,333
საპროცენტო ხარჯი	12,433	7,929
აქტივის გამოყენების უფლება	67,234	45,842
მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	7,797	(3,299)
საკანონმდებლო რეზერვები	25,000	-
საოპერაციო ფულადი სახსრები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	(143,743)	(10,544)
შემცირება/(ზრდა) გადახდილ ავანსებში	(1,380)	8,532
შემცირება/(ზრდა) მისაღებ გრანტებში	1,375,757	(2,993,354)
შემცირება/(ზრდა) წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(2,569)	16,268
(შემცირება)/ზრდა სხვა აქტივებში	14,279	18,546
(შემცირება)/ზრდა გადავადებულ საგრანტო შემოსავალში	(1,764,166)	3,429,935
(შემცირება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(1,995)	(1,908)
(შემცირება)/ზრდა საგადასახადო ვალდებულებებში	(5,950)	-
(შემცირება)/ზრდა რეზერვებში	25,000	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(504,767)	467,475
ფულადი სახსრებისაინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(14,990)	(51,390)
საპროცენტო შემოსავალი	23,294	-
არასაოპერაციო შემოსავალი	14,817	-
გრძელვადიანი ინვესტიციების შესყიდვა	512,880	(520,301)
აქტივის გამოყენების უფლების დამატება	-	(246,798)
წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობაში	536,001	(818,489)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულების გადახდა	(127,369)	205,873
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(127,369)	205,873
ზრდა/(კლება) ფული და ფულის ეკვივალენტებში	(96,135)	(145,141)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,482,399	1,632,193
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(18,584)	(4,653)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,367,681	1,482,399


ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 10 მარტს:



გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების
 განვითარების ინსტიტუტი (IDFI)



ნუცა ვეფხიშვილი

ფინანსური მენეჯერი

ა(ა)იპ ინფორმაციის
 თავისუფლების განვითარების
 ინსტიტუტი (IDFI)

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	წმინდა აქტივები	სულ წმინდა აქტივები
31 დეკემბერი 2022	1,145,214	1,145,214
ცვლილება წმინდა აქტივებში 2023	(96,883)	(96,883)
31 დეკემბერი 2023	1,048,331	1,048,331
ცვლილება წმინდა აქტივებში 2024	(280,667)	(280,667)
31 დეკემბერი 2024	767,664	767,664

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 10 მარტს:

გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ა(ა)იპ ინფორმაციის
 თავისუფლების განვითარების
 ინსტიტუტი (IDFI)

ნუცა ვეფხვაძე

ფინანსური მენეჯერი

ა(ა)იპ ინფორმაციის
 თავისუფლების განვითარების
 ინსტიტუტი (IDFI)

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარში

	წმინდა აქტივები	სულ წმინდა აქტივები
31 დეკემბერი 2022	1,145,214	1,145,214
ცვლილება წმინდა აქტივებში 2023	(96,883)	(96,883)
31 დეკემბერი 2023	1,048,331	1,048,331
ცვლილება წმინდა აქტივებში 2024	(280,667)	(280,667)
31 დეკემბერი 2024	767,664	767,664


ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია და ხელმოწერილია 2025 წლის 10 მარტს:



გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ა(ა)იპ ინფორმაციის
 თავისუფლების განვითარების
 ინსტიტუტი (IDFI)



ნუცა ვეფხვაძე

ფინანსური მენეჯერი

ა(ა)იპ ინფორმაციის
 თავისუფლების განვითარების
 ინსტიტუტი (IDFI)

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (ს/კ: 204569617) არის საქართველოში დაფუძნებული არაკომერციული არამომგებიანი იურიდიული პირი, რომლის მიზანია მთავრობის გახსნილობისა და ინფორმირებული სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობა საჯარო ინფორმაციასთან წვდომის უზრუნველყოფის გზით. ორგანიზაცია 2009 წელს დაფუძნდა ორი მკვლევრის - ლევან ავალიშვილის და გიორგი კლდიაშვილის მიერ. ორგანიზაციის მისამართია ნიაღვრის ქ. N4, 0108, თბილისი, საქართველო.

ორგანიზაციის მისიაა გააძლიეროს საზოგადოება და გახადოს იგი მეტად ინკლუზიური და ინფორმირებული. ამ მიზნით, ორგანიზაცია მუშაობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე, იცავს ადამიანის უფლებებს, ხელს უწყობს კარგი მმართველობის დანერგვასა და ამზადებს ინფორმაციულ ანგარიშებს, ხარისხიან კვლევებს და რეკომენდაციებს; ორგანიზაცია ადვოკატირებას უწევს ახალ ინიციატივებს და არსებული პოლიტიკის, კანონებისა და პრაქტიკის რეფორმებს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ამჟამად ფასს არ შეიცავს არამომგებიანი ორგანიზაციებისთვის ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე სპეციფიურ მითითებებს არამომგებიანი ორგანიზაციების სპეციფიური ოპერაციების აღრიცხვაზე და წარდგენაზე, ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკები ეფუძნება ფასს-ის ძირითად პრინციპებს, როგორც ისინი აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მომზადებულ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ორგანიზაციის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს მის ოპერაციებს და ორგანიზაციის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარდგენილია ლარში დამრგვალებული ერთეულამდე.

2.4 შეფასებისა და დაშვებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მთელ რიგ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, ასევე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. ამგვარი შეფასებები ეფუძნება ხელმძღვანელობის ცოდნას მიმდინარე მოვლენებზე და მოლოდინებს მომავალთან დაკავშირებით, თუმცა, რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ახლანდელი შეფასებებისგან და შესაბამისად მომავალში ეს შეფასებები და დაშვებები შესაძლოა შეიცვალოს.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ორგანიზაციამ მიიღო შემდეგი ცვლილებები:

- ბასს 1-ის შესწორებები – "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად და ბასს 1-ის შესწორებები – გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით"

ზემოაღნიშნული ორივე შესწორების დოკუმენტი ერთობლიობაში გავლენას ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებზე, ასევე ორგანიზაციის მიერ გამოშვებული ყველა კონვერტირებადი სავალო ვალდებულების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებზე, თუ ვალდებულება მოიცავს კონვერტაციის პირობას. ეს ცვლილება მიღებულ იქნა უკანასკნელ პერიოდში. ამ შესწორებებს არანაირი გავლენა აქ მოუხდენია ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები - "მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები"

ზემოაღნიშნული ცვლილება გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

2.6 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

- ფასს 9-ის და ფასს 7-ის შესწორებები - ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასების მოთხოვნების შესწორებები

2 მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

2.6 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში (გაგრძელება)

ეს შესწორებები ცვლის მოთხოვნებს იმის შესახებ, როდის შეიძლება შეწყდეს ფინანსური ვალდებულების აღიარება, თუკი ვალდებულება დაიფარა ელექტრონული გადახდების სისტემის მეშვეობით, ან როდის შეიძლება, რომ ფულადი ნაკადები მიჩნეული იყოს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდად და, ამასადამა, შესაძლებელი გახდეს ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად.

მართალია, ორგანიზაციას ჯერ არ დაუსრულებია ზემოაღნიშნული ცვლილებების ზემოქმედების შედეგების შეფასება, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროსთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსურ ვალდებულებებზე, თუმცა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ცვლილება გავლენას არ იქონიებს ორგანიზაციაზე.

ამ ცვლილებების გამოყენება სავალდებულო იქნება 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

• ფასს 18 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 1-ს – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. მართალია, ბევრი მოთხოვნა უცვლელი დარჩება, მაგრამ ახალი სტანდარტი მაინც გავლენას მოახდენს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენაზე და, შესაბამისად, არაპირდაპირ გავლენას იქონიებს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზეც. ამასთან, ახალი სტანდარტი მოითხოვს სუბიექტის საქმიანობის შედეგების ამსახველი ისეთი მაჩვენებლების გამჟღავნებას, რომლებიც არ მოითხოვება ფასს სტანდარტებით, არამედ ხელმძღვანელობის მიერ არის განსაზღვრული, მაგრამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებასა და მის შენიშვნებში ასახული ინფორმაციის/მონაცემების აგრეგირებისა და დეზაგრეგირების დონეზე.

ფასს 18 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის და გამოიყენება რეტროსპექტიულად. ორგანიზაცია ამჟამად აფასებს, რა გავლენას იქონიებს ორგანიზაციაზე ფასს 18-ის ამოქმედება.

დღეისათვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც, სავარაუდოდ, არსებით გავლენას იქონიებს ორგანიზაციაზე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდისთვის ძირითადი სავალუტო კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
1 დოლარი =	2.8068	2.6894
1 ევრო =	2.9306	2.9753

3.2 იჯარა

2016 წლის იანვარში ბასსს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა", რომელიც აქტიურია 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და სამამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ორგანიზაციას წარმოეშვა ვალდებულება და პირველად გამოიყენა ფასს 16 2020 წლის 1 თებერვალს.

ფასს 16-ის დანერგვისას ორგანიზაცია საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს ისეთი იჯარებისთვის, რომლებიც ადრე ბასს 17-ის მიხედვით კლასიფიცირებული იყო, როგორც "საოპერაციო იჯარა". ეს ვალდებულებები შეფასდა საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების ტოლი თანხით, რომელიც დისკონტირებულია 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთით, რომელიც მსგავსად არის განსაზღვრული მსგავსი მახასიათებლების იჯარებისთვის.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 იჯარა (გაგრძელება)

2024 და 2023 წლების განმავლობაში მოიჯარის საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო განაკვეთი იყო 8.5% ლარში წარმოდგენილი იჯარებისთვის.

ორგანიზაცია იჯარის დაწყების თარიღისთვის აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებებს. აქტივის გამოყენების უფლება ფასდება ღირებულებით, რომელიც მოიცავს უშუალოდ საიჯარო ვალდებულებებს, დაკორექტირებულს ნებისმიერი დამატებითი გადასახადით, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწყების თარიღში ან მანამდე, ასევე, მოიჯარის მიერ გაწეულ ნებისმიერ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟის ან ფილიალურსა და ოფისებში განხორციელებული გაუმჯობესების მოსახსნელად. აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყებიდან ვადის დასრულებამდე ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით, რომელიც აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ცვეთის ხარჯი.

საიჯარო ვალდებულება ფასდება როგორც იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება, რომელიც იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯერ განხორციელებული არ არის და რომელიც უნდა დადისკონტრირდეს კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით. საიჯარო ვალდებულებები მცირდება საიჯარო გადახდებით. თითოეული გადახდა ნაწილდება საიჯარო ვალდებულებასა და საპროცენტო ხარჯს შორის. საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი წარმოდგენილია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც საპროცენტო ხარჯი.

საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს. როდესაც საიჯარო ხელშეკრულება შეიცავს შეწყვეტის ან გაგრძელების არჩევანს და არსებითად სარწმუნოა, რომ კომპანია გამოიყენებს ამ უფლებას, მოსალოდნელი საიჯარო გადახდები ან ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები შედის საიჯარო გადახდებში საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად.

ზოგადად, საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების დღევანდელ ღირებულებას:

- ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს;
- ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს;
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- ჯარიმის გადასახადი იჯარის შეწყვეტის გამო, თუ იჯარის ხელშეკრულების პირობაშია ასახული მიმდინარე ვარიანტის განხორციელება.

აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს;
- საიჯარო აქტივის აღსადგენად გაწეულ დანახარჯებს.

აღიარებული აქტივის გამოყენების უფლება დაკავშირებულია ქონებასთან პირადი გამოყენების მიზნით, კერძოდ, ოფისებისათვის.

მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი მოგება - ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა საიჯარო ვადა შეადგენს 12 თვეს ან ნაკლებს.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როდესაც ძირითადი საშუალებები მოიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სასარგებლო მოსამზუროების ვადები ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების ერთეულის - ავტომაქსანის შეფასებებისას თვითღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

გადაფასება მოხდა 2019, 2020 და 2021 წლებში. გადაფასების შემდეგ ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია ხდება შემდეგნაირად.

ცვეთის დარიცხვისას აქტივების ღირებულება გამოიყოფა მათი ნარჩენი ღირებულებების გამოკლებით მათი სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი წლიური განაკვეთები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ამორტიზაციისთვის:

აქტივი	სასარგებლო ვადა
აღჭურვილობა	3-5 წელი
ავტო	5 წელი
ავტომაქსანა	8 წელი

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თუ არსებობს ინდიკატორი იმისა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ცვეთის ნორმას, სასარგებლო ვადისა ან აქტივის ნარჩენ ღირებულებაში, ამ აქტივის ცვეთა გადაიხედება პერსპექტიულად ახალი მოლოდინების ასახვისთვის.

ძირითადი საშუალებების აღიარება გაუქმებულია გასხვისებისას ან როდესაც მოსალოდნელი აღარაა მომავალი ეკონომიკური სარგებელი აქტივის უწყვეტი გამოყენებისგან. მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან განისაზღვრება მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია, როგორც ძირითადი საშუალებები და წარმოდგენილია ცალკე. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობაზე გაწეული დანახარჯები ამორტიზირდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადასა და შესაბამის საიჯარო ხელშეკრულების ვადას შორის უმცირესით.

3.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, როდესაც ამოწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, როდესაც ის შესრულდება (როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა ამოიწურება).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აგრეთვე ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფინანსური აქტივები აღიარება და შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, სამართლიანი ღირებულების ცვლილების სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებით;
- გასაყიდად გამოიწერილი ფინანსური აქტივები;
- ვადიანი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტების დაყოფა კატეგორიებად მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ მისი შედეგი შესაძლებელია აისახოს როგორც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ასევე პირდაპირ კაპიტალზე. იხილეთ შენიშვნა 16-ში კომპანიის ფინანსურ აქტივების კატეგორიებად დაყოფასთან დაკავშირებით.

ზოგადად, ორგანიზაცია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან, რომლებიც აღიარებულია შედეგში, წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავლებში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურებისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

სესხები და მოთხოვნები

